ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4106532

ნომერი: AR1618773

თარიღი : 26.07.2018

გაცემის თარიღი : 06.08.2018

გაცნობის თარიღი : 06.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5); ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5); ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5); ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუკრი ლიპარტაშვილი პ/ნ 13001001759
- თბილისი თ.იოსებიძის ქ. N 1 ბ. 55

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

დამატებით წარმოადგინეთ არსებული ჭრილი და ვიზუალური ნახაზი (საპროექტოს მსგავსად), დეტალურად გაბარიტული ზომების მითითებით.

ასევე არსებული სიტყუაციის ფოტოსურათებზე მიუთითეთ საჯარო რეესტრის მიხედვით ფართების მონაცემები, აღნიშნული ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებულ იქნას ფოტომონტაჟები, რომელზეც ასევე დატანილ იქნება მონაცემები.

საჭიროა განიმარტოს ინფორმაცია რომელი საკადასტრო ერთეულებია საპროექტო. მოგახსენებთ რომ გარდა მონიშნული ს/კ: 01.10.13.031.006.04.507; ს/კ:01.10.13.031.006.30.05.504; ს/კ:01.10.13.031.006.30.05.509; ს/კ:01.10.13.031.006.04.508 ფართებისა, კონსტრუქციულ დასკვნაში მითითებულია სხვა ფართებიც. ამასთან ერთ ერთ სარეკონსტრუქციო ფართი ს/კ: 01.10.13.031.006.04.508 წარმოადგენს თანასაკუთრებას (გარდა შპს „გამსახურდიას 5“-ისა თანამესაკუთრეები არიან : თინათინ შუღლიაშვილი და ირინე კალანდარიშვილი , ასევე, არასრულწლოვნები, ანა ნანეიშვილი და სოფიო ნანეიშვილი.) საჭიროა წარმოდგენილი იქნას თინათინ შუღლიაშვილის და ირინე კალანდარიშვილის მიერ გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობები/მინდობილობები განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე ან აღნიშნული პირები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლებად. ასევე წარმოდგენილ იქნას ანა ნანეიშვილისა და სოფიო ნანეიშვილის დაბადების მოწმობები და ორივე მშობლის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე ან მშობლები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლებად.

ამასთან იმ შემთხვევასი თუ სარეკონსტრუქციო სამუშაობით შეხება ხდება საერთო საკუთრებაში არსებულ ფართებთან საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ყველა მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე ასევე იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ საკადასტროზე არის შექმნილი ამხანაგობა ასევე შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შედგენილი კრების ოქმი განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.